


საქსი

განმცემის 47-ე წელი ფასი 20 კპ.



ზოგიერთი უსინდისო მამა გაურბის პასუხისმგებლობას და თავს არიდებს აღმენტის გადახდას.




გუგულისხმობით მამები
— ეპ საკენანი სხვაგვარ დაუხარონ!

— ტაქსი! — ჰვივის აბაზა — ტანდაბალი, ცხვირბაჭუა, შუახანს გადაცილებული, ცალმკლავა კაცი და ამოდ აცეცებს დასიცხულ თვალებს.

— ტაქსი არა, მაქსი! — ეგლანება ტაქსის შოფერი მას და ბახაბუნით მიაჭროლებს მანქანას ქალაქის მტკრიან ქუჩებში.

ცხინვალი. შუადღე. პაპანაქება. ორ-ორი კვირის დამკმანებულ ნაგავს ძიძგნიან ჯიშარეული, უპატრონო ქოფაკები აბუზბუზებულ, პირამდე სავსე ნაგვის ყუთებთან. ტაქსების სადგომთან დასიცხული აბაზა დგას, დგას და ამოდ უხმობს გამვლელ-გამომვლელ ტაქსებს. აბაზას დანახვაზე გარბიან მანქანები ქალაქის მეორე სადგომისაკენ, გარბიან და გროვდებიან. ათი და ხანაც მეტი ავტომანქანა იყრის თავს ტაქსების მეორე გაჩერებასთან. იქ უფრო გრილა კიდევ, ნარეცხი ჭიქებით ძირგამომპალი წყლის ფარდულიც ცხვირწინ არის, პატარა სკვერიც საჩრდილობლად და, რაც მთავარია, აბაზა ისე მალე ვერ მოაღწევს აქამდე, თავისი ახირებული ალალი აბაზიანით ხელში, რომლითაც მან სახელი გაითქვა ცხინვალ-ქალაქში.



ვიდრე აბაზა პირველი სადგომიდან მეორემდე ჩამოხლახუნდება, იმასობაში შოფერები შესაფერის მგზავრებს შეარჩევენ, მოუსაუბრებიან, მოეთათბირებიან, ჯიბის ბარაქას შეუმოწმებენ, სავალი გზის ავკარგიანობას შეუმოწმებენ, ახედავენ, დახედავენ, გუნებაში ოთხზე ან ხუთზე გაამრავლებენ სავალი გზის სიგრძის და სიბრძნემომოწმის თავების ოდნავ შესამჩნევი დაქნევით მიახვედრებენ გაფაციცებულ მგზავრს, რომ მანქანაში ჩაჯდომის უფლება მინიჭებული აქვს.

— ტაქსი! სიუუ! — ჰვივის წლიდან წლამდე აბაზა და ამოდ ლამობს მანქანის გაჩერებას მშობლიურ ქალაქში.

— ტაქსი, სიუუ! — ყვირის დასიცხული აბაზა და უთითო ხელს უქნეის გაქცეულ შოფერებს. მეორე ხელში ყავარჯენი და გახუნებული ჩანთა უჭირავს: სადამოს ბაზრის ჭყუტა-ჭყლატა კიტრი და პომიდორი ლამის აჯაფხანდლად იქცეს ჩანთაში აბაზას, თანაც, ერთი კონა რეჰანიც აძევს აქაფებულ ბოსტნეულს ზემოდან.

— სიუ არა, ჭიუ, აბაზ კაპიკი! — ჭყვილით ახელებენ შოფერები და მტკრისა და ბოლის კორიანტელში ჰხვივენ აბაზას.

— წადი აქედან, აბაზ, რა ნახევარძმავით ამომიდექ მხარში. ვერა ხედავ, ნაკური მიმაქვს შინა, ცოლ-შვილი ქალაქ-

გარედა მყავს, სარჩო უნდა მივაწოდო, ვა! — უღრენს აბაზას უნივერსალის ერთ-ერთი განყოფილების გამგის მოადგილის უშტატო თანამემწის მუშის ამხანაგი და აკრიხებულ ვარიებს ძლიერ იოკებს ხელში.

— ჰო, აბაზ, წადი, გაგვეცალე! ავი ძალოსა არ იყოს, ისე მოგდის, გერც შენა სარგებლობ ტრანსპორტით და ჩვენაც გვიფრთხობ, — უღრენს აბაზას მეორე, მორგვივით დედაკაცი.

— არსადაც არ წავალ, მეც კაცი ვარ, მოქალაქე, ოჯახი მეცა მაქვს, შვილები!.. ისე როგორ წახდება ქვეყანა, რო... არსადაც არ წავალ, ტაქსში! — ყვირის ხმაჩახრინწული აბაზა. რაკილა ერთი აედევნა აბაზა მანქანას, აღარ მოეშვა, სიბრაზემ აღარ ანება თავი, მეორე „ბირჟამდე“ სდია...

ათამდე მანქანას მოეყარა თავი მეორე სადგომზე. შოფერები წყლის ფარდულთან ხორხობდნენ, იტყუებოდნენ. აბაზას დანახვაზე იხუვლეს, მანქანებში ჩასხდნენ და პირველი სადგომისაკენ მოუსვენს.

— აბაზ-აბაზ! — ყვიროდა ერთი.

— აჯაფხანდალი მზადა გაქ, აბაზ კაპიკი?! — უძახდა მეორე.

— აბა, აბა, მუშტის ქნევა არ იყოს! თუ ბიჭი ხარ, თითი დამიქნე! — ჭყიოდა მესამე.

მანქანები გაიკრიფნენ, მოედანი დაცარიელდა, ხახავამშრალი აბაზა წყლის დასალევად მიჰლაკუნდა ფარდულთან. მისი მისვლა იყო და მეწყლემ დარაბა დაუშვა:

— პირერივში მივდივარ, მეც ადამიანი ვარ! — თქვა წყლის გამყიდველმა და კარი გამოიკეტა, — მაგ შენი აბაზიანი სიმართლით როდემდე გინდა იკუნტრუ-შო ერთი გაჩერებიდან მეორემდე? ერთხელაც იქნება, სული ამოგძვრება მაგ ქლაკატლუკში და მორჩაა. აბაზიანი კლიენტების დრო წავიდა, ანცაავ, წა-ვიდა, რით ველარ გაიგე?! ორი დღე-წუთისოფელი სირბილში როგორ უნდა ვაატარო, შე კაი კაცო, ვე!

— მივხვდი... გავიგე... მივხვდი, გაიგე, — ლულულუმებს გაოფლილი და გამტკვერილი აბაზა და თავის მეზობელს, წყლის გამყიდველს მისდევს მორჩილად.

— „მივხვდი, მივხვდი“, სუ ეგრი ამბობ. რაღას უცდი, თუკი მიხვდი, ტაქსი რამეა, მავან და მავან ეტყვი, წუთში იქა ხარ, მააშ..

— ჰოო, მივხვდი, მივხვდი, — ბურბუტებს აბაზა.

— ჰო არ უნდა მაგას, აბაზად, შე კაი კაცო, ახლა, ის კი არა და, აი, კარის ცინდალი რო მიჰყავდეს პატრონს წყალში გადასადგებად, ჰოდა, რო უთხრამ მომეციო, მანეთზე ნაკლებს არ დაგიფასებს, ველარ გაიგე, ვე!

— ვიცი, გავიგე, ვიცი, მაგრამ როგორ ვუთხრა, რო ის აბაზა აღარა ვარმეთქი, როგორ ვუთხრა, რო, დღეის იქით, მეც ისე, როგორც სხვები, აბაზში მანეთს მივცემ, მანეთში — სამ მანეთს,

სამ მანეთში — თუმანს, თუმანში — სამ თუმანს...

— როგორ თუ როგორ უთხრა, აი, რო არ გადმოდიხარ, გაუცინე, დიდი მადლობა უთხარი, მერე ადექი და უთხარი, რო აქ რო აბაზი წერია, მანათს გაძლევ, აქ რო მანათი წერია — სამ მანათს გაძლევ, აქ რო..

— შენ კარგა თქვი, რომ გადმოდიხარო, მაგრამ, ვიდრე გადმოხვალ, ხომ უნდა ჩაჯდე?

— რო გადმოდიხარ, რაღად უნდა ჩაჯდე, ვე?.. რო გადმოდიხარ, უნდა უთხრა, რო...

— მერედა, რო გადმოხვდი, ხო უნდა ჩაჯდე, ადამიანო! — უხსნის აბაზა მეზობელს.

— ვეე, რო გადმოდიხარ, სადღა უნდა ჩაჯდე? გიუა!

— მინდა, მაგრამ, ადამიანო, ვიდრე გადმოხვალ, ხო უნდა ჩაჯდე!..

— ვეე, რო გადმოდიხარ, მერე სხვა ჩაჯდება, ვე, მა პაჩოტნი კარაულივით შენ გვერდზე ხო არ იარებს ცარიელი ტაქს-ვოლგა, მაგანთაც თავისი პლანი აქვთ, ვეე!..

შუშანამ შორით გამვლელ ტაქსის შოფერს გაუღიმა.

— ეს ჩანთა მაინც გაიყოლე, თუ ქალი ხარ, ჩვენებს გადაეცი, ბალღები მოში-



ვებულები იქნებიან, კერძი დაგვიანდა! — თხოვა აბაზამ.

— კარგი, მომეცი, — მეწყლემ ცხვირაბზეკით ჩამოართვა ჩანთა კარის მეზობელს და მოშორებით გაჩერებული ტაქსისაკენ გასწია.

— ერთი წამოადულოს და მარილი უყოს, მეტი არაფერი უნდა, მწვანელიც შიგ არის, — მიაძახა აბაზამ მეზობელს და ბუტბუტ-ბუტბუტით წაფრატუნდა..

— ჯერ უნდა ჩაჯდე, თუ ჯერ უნდა გადმოვდე? — ჰკითხა ხილზე მდვარ ბიჭს აბაზამ და მდინარეს ჩახელა აძღვრეული თვალით. ბიჭი, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის, კარგი შეკერილი ჯეელი გამოდგა, საბანაოდ გაშიშვლებულიყო, მორევში გადახტომას აპირებდა.

— სანამ ჩაჯდები, უნდა გაიხადო, ძი-აჯან, — გაუღიმა ბიჭმა და მორევში გადასახტომად შედგა მოაჯირზე.

ხილის რიკულეებში მოჰქროდა ლურჯი მდინარე და ძალიან გავდა ტაქსის ჭადრაკულ ნიშნებს. აბაზამ მორჩილად იწყო ტანისამოსის გახდა.

ბიჭი ერთბაშად მიხვდა ყველაფერს და აღარ გადახტა...

პასილ ცონავი

საქართველო
საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის უნახავი

ადამიანს გააჩნია: როგორი ადამიანიცაა, ისეთი მოხსენებაცა აქვს. თუ სერიოზულია — სერიოზული მოხსენებაა. მე კი სერიოზული არ ვარ. ამიტომ ჩემი მოხსენებაც ჩემი შესაფერისი იქნება. იქნებ მთლად ასეც არ იყოს, მაგრამ ჩემი ნაცნობები ამას ამბობენ: ძალიან არასერიოზული კაცია, სულ ილიმებაო.

ბევრისათვის სერიოზული ადამიანი ერთ-თავად კოპებშვერული და უხასიათო უნდა იყოს. იგი, საერთოდ, ვერაფერს ვერ უნდა იტანდეს. დიდი ბულგარელი მხატვარი — კარიკატურისტი — ილია ბეშკოვი. ასე არ ფიქრობდა:

სამუშაოს შემდეგ თუ ადამიანი შუბლ-შვერული და ძალიან სერიოზულია, მაშინ ამ კაცს სამსახურში ეძინა.

ამიტომ იყო, რომ ჩემი „არასერიოზულობის“ გულისთვის, დიდი ხნის განმავლობაში, არც ერთი წიგნი არ გამოუციათ.

— როგორ შეიძლება მაგისი წიგნის გამოცემა! მხოლოდ იმას შეხედეთ, რა არასერიოზულია!

საბჭოთა მეგობრებმა კი არაფერი იცოდნენ ჩემი არასერიოზულობის შესახებ და გამოსცეს ჩემი წიგნი. ეს ასე მოხდა: მოაგროვეს ბულგარეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მოთხრობები, თარგმნეს და ცალკე წიგნად გამოსცეს. ალბათ, იმათაც ილია ბეშკოვის მსგავსი შეხედულება ჰქონდათ სერიოზულ კაცზე.

ფაქტი ფაქტია: მოთხრობების კრებული — „ნეილონის ქალიშვილი“ — 1963 წელს გამოსცა „ინოსტრანნაია ლიტერატურა“. ავიღე ეს წიგნი, ბულგარეთის ერთ-ერთ გამოცემლობაში შევედი და ვთხოვე, ეთარგმნათ ბულგარულ ენაზე. იქ ძალიან გაიკვირვეს, ბევრი იფიქრეს, იფიქრეს და, ბოლოს, „ნეილონის ქალიშვილი“ გამოვიდა ბულგარულ ენაზეც.

აი, ამით მინდა დავიწყო ჩემი მოხსენება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის შესახებ. ზოგიერთმა შეიძლება მითხრას, შენ ძალიან სუბიექტურად უყურებ მეგობრობასო.

შესაძლოა. მაგრამ მე ასეთი პრინციპი მაქვს. თუ მე ამის უნარი შემწევს და გულითა მაქვს აწონილ-დაწონილი, მაშინ, შემიძლია, ვენდო ყველასა და ყველაფერს.

თხუთმეტი წლის წინ აღვნიშნეთ ბულგარული სატირულ-იუმორისტული ჟურნალის — „სტერშელის“ 10 წლისთავი. სტუმრები მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. მაშინ ისეთი ახალგაზრდები ვიყავით, რომ ზეიმი მთელ სამ დღეს გავაგრძელებთ. სტუმრების იმ ნაწილს, რომელიც ელოდა ოფიციალურ მოხსენებებს, გამოცდილების გაზიარებას, სიგელებსა და მედლებს, იმედი გაუტრუვდა.

— ეს რა ათი წლისთავია? მხოლოდ ზე-

იმი, მხიარულება და გაუთავებელი „ვაშას“ დახილიაო.

და, პირველსავე დღეს, ეს ნაწილი თავის ქვეყანაში დაბრუნდა. მათთვის ეს ძალიან არასერიოზული ღონისძიება იყო.

მეორე დღეს ზეიმი გაგრძელდა და სტუმართა მეორე ნაწილმაც დატოვა ბულგარეთი. ალბათ, ესენი ელოდნენ, რომ მოხსენებები მეორე დღეს გაიმართებოდა, მაგრამ მოტყუდნენ.

მესამე დღეს სტუმრებისაგან დარჩა მხოლოდ „კროკოდლის“ წარმომადგენელი — მხატვარი-კარიკატურისტი, შესანიშნავი კაცი, გოლიათი ვიტალი გორიაევი. იგი ჩვენთან ერთად მღეროდა, მხიარულობდა, გავიგვოდა, გვიტყაპუნებდა ხელებს ბეჭებზე და გვარწმუნებდა, რომ მის სიცოცხლეში ეს ყველაზე სერიოზული და კარგი ზეიმი იყო.

როდესაც ბულგარეთში „პერეცის“ მხატვარი-კარიკატურისტი ზელინსკი ჩამოვიდა, მთელი სამი დღე თავბრუდახვეულივით დადიოდა და აღარ იცოდა, ვის გადახვეოდოდა, ისე მოეწონა ყველაფერი. ზოგი უცხოელი ტურისტი ბუზღუნებდა — ეს არ მომწონს, ის არ მომწონსო. ზელინსკის კი ესეც მოსწონდა და ისიც. ყველაზე ძალიან კი ის სიამოვნებდა, რომ ჩამოვიდა უცხო ქვეყანაში და სახლში კი აღმოჩნდა თავისი ძმები და მეგობრებით გარშემორტყმული. აი, რატომ დადიოდა გრძნობამორთული უცხო ქვეყანაში და სახლში! ვაშა!

მე საქართველოში ჩამოვედი. შორეულ ქვეყანაში, რომელიც ათასობით კილომეტრებითაა დაშორებული ჩემს სამშობლოს. ვეწვიე „ნიანგს“ და როდესაც შეგხედე სახეში რედაქტორსა და მის კოლეგებს, დავინახე, რომ ისინი ბულგარელები არიან, ჩვენებურები, ნამდვილი ბულგარელები. ისეთივე დაკოქრებული ხელები, შავგვრემანი სახეები, ხუჭუჭა თმები... ჩვენსავით უყვართ მზე, ყურძენი და მისი პროდუქცია. ჩვენსავით მზად არიან, სულიც კი გასწირონ იმისათვის, რათა დახვდნენ სტუმარს ისე, როგორც სხვა ქვეყნებში მხოლოდ მეფეებს თუ შეხედნიან. უზარმაზარი მაგიდები — ცისარტყელას ფერებით ატყვევებული დალოცვილი ქართული მიწის ბარაქით. საყვარელი, კეთილი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ორი რამ უნდათ — შრომა და ბედნიერება. როგორ შეიძლება ასეთი ადამიანები არ შეგიყვარდეს! როგორ შეიძლება, ამ შესანიშნავ ქვეყანაში უცხოელად იგრძნო თავი. აი, ამიტომ ჩვენ, ბულგარელები, ყოველთვის ვიქნებით თქვენთან, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ჩემი მოხსენება დასრულდა. ისე, ვინც უკმაყოფილო დარჩა, შეუძლია კონტენსტაცია გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბულგარეთი, სოფია, ვასილ ცონევი, ექვსი სექტემბრის ქ. № 49, შესასვლელი ეზოდან.

(ფრთხილად, ეზოში ავიძაღლია!)

თარგმანა ზურდან გემაზაშვილმა



— ჩვენთან რაყ ყველაფერი დაღუპულია. გახსოვს, რა სავსე მთვარე იყო სან-ფრანცისკოში?!

ერთი საბჭური

„ერთი საბჭური მოდისო დასასვენებელ სახლისა!“ — ამ ცნობამ აგვაწრიალა, სუყველა გაგვახალისა. ერთმანეთს ვეცდებოდით, განცხადებები ვწერეთ, ბოლოს დირექტორს დაავთმეთ და ყველამ დავისვენეთ.

ნოდარ შამანაძე

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



— ხვალ საოპერაციოდ უნდა დავწვი. — რატომ ვუხდებით, პატრონო, სამი მოადგილე გყავთ და ერთ-ერთს დაკავალეთ!..



აგზავი პირველი ხელფასისა

თქვენთვის, დიასახლისებო დიასახლისთა ქმრებო!

თუ ერთხელ მაინც იგრძენი პირველ ხელფასის სიტკბო, სულში მომავლის იმედი შემოგანათებს, თითქო... სუყველა გულით გახარებს, სუყველა გულით

(პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი)

ცილიც, შვილიც და სიდედრის პილიპილი მოყვარული სიტყვაც. თუ ერთხელ მაინც იგრძენი პირველ ხელფასის გემო, თავი იმგვარად გიჭირავს, ტარიელობას ჩემობი ძველ ნაცნობივით უღიმი სახტად დარჩენილ უცნობს, მზადა ხარ, სხვისი წუხილიც ვალიდოლივით წუწნო. ჩამოურევავ ძმაკაცებს, რომ გიფასდება გარჯა, და, პირველ ხელფასს ამაღამ სამაღარიჩოდ ხარჯავ. ზოდა, მოლარეს მივადექ დაუფარავი თრთოლივით, ქალს თეთრი თმები ეფინა, როგორც პირველი თოვლი...

დროდადრო, ძილი გაგიკრთებათ, ვერ იძინებთ. ამისათვის კარგია თბილი აბაზანა, მსუბუქი ვახშამი (მაგალითად, ერთი ჭიქა მაწონი). პიჯამო ჩაიცვით ხალვათად. ქა-მარი აუცილებლად მოიხსენით. თუ მაინც არ დაგეძინათ, მაშინ მოხერხებულად მოეწყ-ვეთ სავარძელზე, ფეხები დაალაგეთ შედარებით დაბალ სკამზე და ჩართეთ ტელევიზო-რი. გარწმუნებთ, რამდენიმე წუთში მოგერევათ ძილი. (კარგია აგრეთვე რაიმე ახალი ნაწარმოების ერთი-ორი ფურცლის წაკითხვაც).

როდესაც ქალმა ხათვალე შემოისკუპა ცხვირზე, უნდა გამოვტყდე, სხეულში უცხო სიახე ვიგრძენ. მაგრამ ხელფასის მოცემა გაჭიანურდა ერთობ, მეგონა, გულის მაგივრად, მკერდში ხანძარი მენტო. მერე მოლარის თვალეები უცებ იწყებენ ციმციმს: — ქნარიკას ფულს ვუგროვებთო, სამ-სამ მანეთს ვღებთ, იცით?

თუ ნაბახუსევი ხართ, დილით მუავე და, მით უმეტეს, ალკოპოლიანი სასმელი არ მიირთვათ. ეს საერთოდ გაბატონებული აზრი მცდარია. დალიეთ ოდნავ შემთბარი ბო-რჯომი, ან ცივი (კაცია და გუნება!). თუ ბორჯომი არა გაქვთ სახლში, წადით რუსთა-ველის პროსპექტზე მდებარე მაღაზიაში. თუ იქ არ დაგხვდებათ, მაშინ გაიარეთ ფიჭვის გორას დასაწყისში. არც იქ არის? დაბრუნდით უკან და დაუყვეთ ელბაქიდის დაღმართს, მიდით მარჯანიშვილის მოედნამდე. არც იქ დაგხვდებათ? მაშინ გადით პლესანოვის პროსპექტზე და ა. შ.

სამოთახიან ბინაში ცოდვილობდაო წინათ, გუშინ კი ჭერზე მოექცა ხუთოთახიან ბინას. დავთანხმდი, თავი დავუკარ, როგორც მორჩილმა კაცმა და „ხუთიანი“ ჩემს ხელფასს დამწვარ კანივით ასძვრა. — თუმან-თუმანს კი ვუგროვებთ ჩვენი მმართველის მბეჭდავს, ქალი მეოთხედ თხოვდება, რამე ხომ უნდა, ბერა? ვფიქრობ, თანახმა იქნებით, რადგან არ გავხარო ლაჩარს, ზოდა, მოგართმევთ, გეთაყვა, რაც ხელფასიდან დაგრაჩათ.

შეგახსენებთ, რომ ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს ფეხით და პახმელიაზე გამოს-ვალთ კიდევც, რადგან დილის მოციონი დიდად უწყობს ამას ხელს. (იგივე მისვლა-მოს-ვლა „ვოლგით“ არ გამოიღებს სასურველ შედეგს).

დავთანხმდი, თავი დავუკარ, როგორც მორჩილმა კაცმა და „ხუთიანი“ ჩემს ხელფასს დამწვარ კანივით ასძვრა. — თუმან-თუმანს კი ვუგროვებთ ჩვენი მმართველის მბეჭდავს, ქალი მეოთხედ თხოვდება, რამე ხომ უნდა, ბერა? ვფიქრობ, თანახმა იქნებით, რადგან არ გავხარო ლაჩარს, ზოდა, მოგართმევთ, გეთაყვა, რაც ხელფასიდან დაგრაჩათ.

თუ სადმე წვეულებაზე ბრძანდებით და არ გსურთ ღვინის დალევა, გამოიყენეთ ასეთი მიზეზები:

დავთანხმდი, თავი დავუკარ და გავუღიმი ცალუბით, ჩემს სიცოცხლეში პირველად ქალის წინაშე წავხდი. საანგარიშო კოჭები დარაკუნობდა დიდხანს, სულ ცხრა მანეთი გერგოთო, — ბოლოს მოლარემ მითხრა. უცებ ამიტუდა ხარხარი თვით ზომერულზე მძლავრი. ის ცხრა მანეთიც თქვენ დაგრაჩეთ! — ვთქვი და მიჯუღდე კარი. გამომეკიდა მოლარე გაცეცხლებული მწერით: უწყისზე მაინც, გეთაყვა, მომიწერო ხელი!

1. წუხელის ბევრი მომივიდა და, თუ ძმა ხარ, ახლა ნუ დამაძალებ! (ამაზე ჩაეღი-მებათ).

2. ხვალ ადრე ვარ ასადგომი, სამსახურში უამრავი საქმე მაქვს. (ამაზე ჩაეცინე-ბათ).

3. ბევრს ვერ გეახლებით, მაგრამ ცოტა-ცოტას დავლევ. (ამას ერთ ყურში შეუშვი-ბენ და მეორეში გაუშვებენ).

4. საერთოდ, ღვინოს არ ვსვამ. (ამაზე შეგიბღვერენ: „აბა, რას მოდიოდი აქ?!“).

5. გული მაწუხებს, მანვი მაქვს, ბავშვობიდან თანდაყოლილი, სტენოკარდია, ათეროსკლეროზი, ნევროზი, ღვიძლის ქოლევცისტიტი, წნევა მაღალი, ჰიპერტონია, ინ-ფარქტი მაქვს გადატანილი.

ბოლოს დაანახვეთ რამდენიმე იმპორტული წამალი. (ამაზე: „ყველას რაღაც გვა-წუხებს“).

6. ღვინო რომ დავლიო, აქვე მოვკვდები! (ამაზე: „აბა, ვნახოთ!“).

7. შემიბრალეთ, წვრილშვილის პატრონი ვარ!.. (ამაზე: „ვინაა ეს მათხოვარი?“). აქ კი წამოვარდით ფეხზე და მაგიდას მუშტი დასცხეთ.

— ვინაა შენი მათხოვარი?! შენს წონა ღვინოს ყურში ჩავისხამ, შე მართლა მათ-ხოვარო! მოიტა აქ!

სტაცეთ ხელი ყანწს და სვით და სვით! (ამაზე კი იტყვიან: „ისე, შესახედავად არ ეტყობა, თორემ კაი ვაჟკაცი ყოფილა!“).

სისოული

ზურღან ყორღანაშვილი

— რამ დაგაფიქრინა, კლამიანო, ამხელა რე-მანი?! — სულმოკლეობამ, ბატონო!



ნახ. ნ. მაღალაშვილისი

— მივცემთ საზუსტო, იქნებ კარგი რამე წამოცდეს ჩვენზე!
— გაბის იმედი ნუ გეძნება, მთავარია, ცუდი არ თქვას.

ნამდვილი ზღაპარი

იქმ ქალაქი ქუჩებითა და სახლებით. როცა დაღამდებოდა, ადამიანები სახლებში მიდიოდნენ დასაძინებლად. როცა გათენდებოდა, ქუჩაში გამოვიდოდნენ და მიდიოდნენ: ზოგი სამსახურში, ზოგიც, ისე, ტყუილად გამოდიოდა ქუჩაში. მიდიოდნენ ფეხით, ტრამვაით, ტაქსით. ზოგი პოულობდა, ზოგი კი კარგავდა...

— ქალბატონო, თქვენ საფულე დაგივარდათ!

— გმადლობთ, გეთაყვა!

ზოგს აკარგვინებდნენ...

— ვაიმე, ჩემი საფულე!..

— მოკეტე, ატო გლაზა ვიკალიუ!

ზოგი ცოლისკენ ემუხრებოდა, ზოგი — საყვარლისაკენ, ზოგს კი არც ერთი ჰყავდა და არც მეორე და წუნდა: ნეტავ, ასე როდემდისო? მაგრამ ქალაქი მაინც დულდა და გადმოდიოდა. სხვათა შორის, ზოგი კვდებოდა კიდეც. ზოგზე ამბობდნენ: „ვაი, საწყალიო“, ზოგზე კი: „ძალი მიაკვდა სულშიო“, მაგრამ ორივეს კრძალავდნენ ისე, როგორც ჩვენი მადლიანი ადამიანები. იყო ერთიანი, ორიანი, ორნახევრიანი, ორნახევრიანი ლოჯით, ერთი ულოჯოდ, ორი მიშენებული, სამი დაშენებული, მოკლედ როგორც ქალაქს ჩვევია. ზოგან უკვე შეეწვათ, ზოგან უკვე წვავდნენ, ზოგან ეძებდნენ შესაწვავს. ზოგან შემწვარიც იყო და მოხარულიც. ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერიც იყო. ზოგან წყალიც არ იყო, მაგრამ იმედი იყო.

— წყალი არ არის!..

— მოვა!

მასლას! როგორც უკვე რამდენჯერმე ვთქვით, ქალაქი დულდა და გადმოდულდა.

ქალაქში სიცილიც იყო და კისკისიც. იყო სიყვარული და ლალატი. იყო შურიც. ქალაქი კი მაინც დულდა და გადმოდულდა. ბოლოს ერთმა კაცმა თქვა:

— არ მინდა მე ეს ქალაქი, წავალ ტყეში, ავაშენებ სახლს, ვიყიდი ერთ ძროხას, ძროხა მომცემს რძეს, რძე — ყველს, კარაქს, ხაჭოს, ნადულს, მაწონს, ფელამუშს, ფელამუშს არა, ფელამუში ყურძნიდან კეთდება, — თქვა და წავიდა.

*

იყო ტყე, იყო მთა. მთაზე — მდელო. აქ არ იყო ქუჩები და სახლები. კაცმა თქვა: აქ მინდა მე ცხოვრებაო.

მთაზე ჯერ ბოლი ამოვიდა. მერე — ჯეჯილი, მერე — ვაზი, მერე — კაკალი. კაკალს ჩრდილი ჰქონდა, ჩრდილში ჭილოფი ეგდო, ჭილოფზე კი — სახლის პატრონი. თონეში —

დედაკაცი. ძროხასთან — ბიჭი. საღამოს ბიჭი მოდენდა ძროხას. დედაკაცი მოწველიდა. მერე უნდა მაწონს შეჭამდნენ, უნდა — ხაჭოს, უნდა — ფელამუშს. მოკლედ, იქაურობა უკვე დულდა, და, ჰა, ისლა აკლდათ, გადმოდულდებულყო.

მაგრამ!

ერთ დღეს, გაიხედა კაცმა და ვილაცა ჭიმქარს მოადგა. მოადგა და დაიძახა: მაინძელოო. გაუღეს ჭიმქარი და კაცმა კაცს უთხრა:

— მე აქ, შენს გვერდით დავსახლდები. იქ არ მინდა, აქ კარგია. აქ ის არ არის, რაც იქ არის და აქ ის არის, რაც იქ არ არისო.

ჯერ ბოლი ამოვიდა იმ სახლის გვერდით. მერე — ჯეჯილი, მერე — ვაზი, მერე — კაკალი და... ერთ დღეს ისევ მოვიდა ის კაცი ამ კაცთან და უთხრა: გამარჯობა, მეზობელო.

მერე კიდევ რაღაცები თქვეს და მერე დააყოლეს: რა ბედნიერები ვართო. მერე ერთმა ჰკითხა მეორეს:

— ჯერ ჰაჰა უნდა გადაიღო, თუ ჯერ უნდა მოქაფო.

მერე კიდევ რაღაც-რაღაცები თქვეს და ისევ იმ კაცმა თქვა:

— მე ასი ფუთი ღვინო დავაყენეო.

— მეცაო, — უთხრა მეზობელმა. — მეო, თქვა პირველმა, ორმოცი კოდი პური მოვიყვანეო.

— მეცაო, — უთხრა მეორემ.

— მე ოცი ტომარა კაკალიო.

— მეცაო, — უთხრა მეზობელმა.

— ჩემი ძროხა შვიდ ლიტრას იწველებო, — უთხრა იმან ამას.

— ჩემი ცხრასაო, — უთხრა ამან იმას.

— როგორ ცხრასაო? — გაუკვირდა იმას.

— როგორ და ჩვეულებრივადო, — უთხრა ამან. ის კაცი წავიდა, მივიდა და თავის ცოლს უთხრა: კი მაგრამ, ჩვენი რომ შვიდს იწველება, იმისი ცხრას რატომაო?

— როგორ თუ ცხრასაო?! — გაუკვირდა იმის ცოლს...

*

პატივცემულო მკითხველო! არ იფიქრო, რომ ეს ზღაპარი აქ მთავრდება. ერთი ამდენი კიდევ იყო, მაგრამ... რედაქტორმა მითხრა:

— ამ ოთხფურცლიან ჟურნალში მეტი არ ეტევო.

მე ვუთხარი:

— თუ სხვა ჟურნალი რვაფურცლიანია, ჩვენი ოთხი რატომაა-მეთქი?

ეს ვთქვი და იმ დღიდან...

ნოდარ მაღაზონია



მთავარი რედაქტორი ნოდარ მაღაზონია

სარედაქციო კომპეტია:

ზ. გომეზაძე (პ/მზ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, ბ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საბჭოთა და იუზოპური: უზრუნველყოფილი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нянги».

ბმლ რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.

საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ. ც. კ. ს. გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად

10/VII-70 წ.

ხელმოწერილია დასა-

ბმლად 10/VIII-70 წ.

ჭალაღის ზომა

70x108 1/8.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,

პრობითი ნაბეჭდი ფურცელი 1.4.

საბ. კვ. ც. კ. ს. გამომცემლობის სტამბა,

თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ

ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

ბმლ № 2138.

შპ № 02146.

ბირაჟი 119.400



ნახ. ა. ახანდელაძისა




ნახ. ახანდელაძისა

— ოქროს თევზი ვარ, გიძიკო, გამიშვი და, რასაც ისურვებ, ავიხრებო!

— დაგაგვიანდა, ამოგიღო, თევზდაშუშავებაში ვმსახურებ და, დიდი ხანია, ყველა სურვილი ავიხრებო!

— ჩვენი უფროსი სალამს რატომ არ გვამოგვს?

— თუ არ დაუფარა ვინმემ, როგორ მოგვამს?!



ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების ომის ესკალაცია თანდათან ეფლობა ჭაობში, გამოსავალი კი არ ჩანს.

1
1970

70-523

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაფლული პრესტიჟი



ნ.ა. ლომიძისა